

მეფემსი

1885-1886

მწეპსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვისათს, ოცს ჯ ოც-და-ათ რიცხვებში.

ჩვენი ზარმაც ვაჟ-გაბონების და ძალბატონების საუზრადღებოდ.

ჩვენ ყველანი უნდა ვზრომობდეთ: ეს მოვალეობა ჩვენ თვით შემოქმედმა დაგვიწესა. ეს მოვალეობა ერთის მხრით საჭიროა ჩვენი არსებობისათვის და მეორეს მხრით აუცილებელი მოთხოვნილებაა ჩვენი ბუნებისა. კაცია, ამბობს იობი, ახადება შრომითა, როგორც ფრანკელი ახადება, რათა იფრანოს ჭაქში (5, 7). პაველ მოციქული თავის თესალონიკელ მოწაფეებს მრავალ გზის ამცნებს ამ მოვალეობის მტკიცედ აღსრულებას. ის ცხადათ და გარკვევით ეუბნება მათ: ვითარემდე უკეთუ ვასმე არა უნებს სჯამის, ნუჭრსა ჭსჯამს (2 თესალ. 3, 10). თვით შრომა, როგორც გონებითი, აგრეთვე ფიზიკური დამოკიდებულება სხვა-და-სხვა მდგომარეობაზე, რომელიც ითხოვს შრომას; მაგრამ კანონი შრომისა ერთი და იგივეა ყველა მდგომარეობათა და თვითეული კაცისათვის.

თუმც ეს ასეა, თუმც თვით შემოქმედისაგან არის დადგენილი, რომ ყველა ჩვენგანი შრომობდეს, მაგრამ დღეს შრომას თითქმის ყველანი უარსა ჰყოფენ.


დღეს თვით ისეთ საზოგადოებაებშიაც, რომელნიც ზნეობით და გონებით მაღლა სდგანან, კაცი შეხედება ბერს, რომელიც ცუდ-უბრალოდ დატყუებულიან და აწუხებენ როგორც თავის თავს, აგრეთვე სხვებსაც. რამდენი უსაქმო ქალი და კაცია, რომელ-

ნიც დაიარებიან ოჯახებში, ჰკრეფენ და შემდეგ ავრცელებენ სხვა-და-სხვა კორებს? ასეთი ჰირნი თავიანთ საქციელში ცუდს ეერას ხედვენ და ამიტომაც თავიანთ უსარგებლო და გაფანტულ მოქმედებას კიდევ ამართლებენ. ამ გვარი პირებისაგან ხშირად გაიგონებთ: «ცუდს რას ვმერებით ჩვენ? მანა ჩვენი სარწმუნოება გვიკრძალავს ჩვენ მოსვენებას და თავისუფლებას?»

მოსვენება და თავისუფლება საუფი არ არის მხოლოდ იმ კაცისათვის, რომელმაც იშრომა, იღეწა და განსვენებით უნდა ხელ-ახლავ ძალ-ღონე მოიკრიბოს, რომ კვალად შეუდგეს შრომას. ჩვენი სარწმუნოებაც არ გვიკრძალავს ჩვენ მოსვენებას, მხოლოდ ეს სარწმუნოება წინააღმდეგია ისეთი მოსვენებისა და თავისუფლებისა, რომელშიაც კაცი ედებს მხოლოდ ერთ სიამოვნებას. სარწმუნოება უარ-ჰყოფს კაცის უბრალო და უსაქმო ცხოვრებას, როდესაც კაცი ნაცვლად პაციოსანი შრომისა, გართულია მხოლოდ თავის სხეულის ფუფუნებაში და ამ სხეულის ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. როცა კაცი განსვენებას ეძლევა, მას სახეში უნდა ჰქონდეს ის შრომა, რომელსაც მან ხელი უნდა მიჰყოფს შემდეგ ამ დასვენებისა და შრომისათვის უნდა იკრებდეს თავის ძალ-ღონეს. თორემ რა უფლება აქვს იმ კაცს, რომელიც ცუდ-უბრალოდ ატარებს თავის ცხოვრებას, რომ განსვენებაზე იფიქროს? აფელითა შენითა სჯამდე ჰურსა შენსა. (შექ. 3, 19). ეს საღმრთო წერილის სიტყვები შედეგი იყო კაცის შეცოდებისა. ეს სატყვები უთხრა ღმერთმა ადამს. მაგრამ ეს დასჯა ჩვენზედაც ვრცელდება, რადგან ჩვენც ადამის შთამომავლობა ვართ. შრომა თუმც შედეგია ჩვენი ცოდვისა, მაგრამ ეს შრომა აუცილებელია კაცისათვის მის ქვეყნურ წუთიერ ცხოვრებაში, რადგან შრომა

აკარგებს კაცს და აწინაურებს მას დროის სარგებ-
ლიანად მოხმარებისა გამო. მაგრამ რა არის დრო?
პი კითხვა, რომელზედაც ჩვენ ყველაზე უფრო ბევრს
უნდა ვფიქრობდეთ, მაგრამ, საუბედუროდ, ამ კითხ-
ვას ძალიან ცოტა ყურადღებას ვაქცევთ. მატარებთ
დროებას, მაგრამ მასზე ცოტას ვფიქრობთ. ამ ქვეყნი-
ურ წუთიერ ცხოვრებაში ჩვენ უნდა ვმეცადინობდეთ
მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის. ჩვენი ქვეყნიური
ცხოვრება მხოლოდ საშუალება არის ამ მიზნის მი-
საღწევად. ღმერთი გვამცნებს ჩვენ, რომ მივიღტო-
დეთ ამ საუკუნო ცხოვრებისადმი და მასთან გვაძლევს
დროს, რომ ჩვენი კეთილი მოქმედებით მოვიზოვოთ
ესეთი საუკუნო ცხოვრება. მა მართლაც, თუ ჩვენ
დროს მოვიხმართ კარგად, მიზანსაც მივალწევთ. აქე-
დამ ცხადათა სჩანს, რომ დრო ყოფილა უძვირფასესი
საუნჯე ჩვენი ქვეყნიური ცხოვრებისა, რადგან ამ
ქვეყნიურ ცხოვრების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია
მოვიზოვოთ საუკუნო ცხოვრება. თუ ეს ასეა, მაშ
განა შეიძლება, რომ ჩვენი ქვეყნიური წუთიერი ცხოვ-
რება გავატაროთ ცუდად და გამოუსადეგათ? ჩვენი
ქვეყნიური ცხოვრება ისე მოკლეა, რომ უკანასკნე-
ლი წამიც კი არ არის უსარგებლოდ დასაკარგავი.
ღრო უცვებ გარბის და ჩვენც მას თან მივყვებით.
მთელი ჩვენი ცხოვრება, საათი და წამი არიან საშუა-
ლებანი, რომ დრო გავატაროთ როგორმე. უსაქმო
კაცმა არ იცის რა ჰქნას და ეძლევა გაუანტულ ცხოვ-
რებას. ამ ჯურის პირთა ზრუნვა ისაა, რომ სულ
სხვა-და-სხვა სიამოვნება მისცენ თავიანთ თავს და ამი-
სათვის ხმარობენ ყოველივე საშუალებას. ამ გვარი
პირებისაგან ხშირად გაიგონებთ: «რა გქნათ, თავი
მოგეწყინდა, ხვალ შევიკრიბოთ სადმე, რომ დრო გავა-
ტაროთ». ამ სიტყვებს რომ გაიგონებ, კაცს გეგო-
ნება, რომ დრო რაღაც საზოგადო მტერია, რომ-
მელსაც ყველა ემალება. ამავე დროს კი ყველა ჩვენ-
განი იმასა სჩივის, რომ ჩვენი ცხოვრება უცუფ გარ-
ბის. მაგრამ ამავე დროს ხანგრძლივი ცხოვრებაც
გვაწუხებს, მუდამ მომავალ დროს შევტრფით და
ამასობაში სიკვდილიც გვიახლოვდება. ამიტომ საჭი-
როა, რომ ყოველი წამი ჩვენი ცხოვრებისა სასარ-
გებლოდ მოვიხმაროთ და უბრალოდ არ დავკარგოდ,
თორემ ცუდ-უბრალოდ დაკარგულ დროს ველარ
მოვებრუნებთ. სანამ სიკვდილი მოგვიახლოვდებოდეს,
საჭიროა გავაკეთოთ ყოველივე ის, რისიც ვაკეთება
შეგვიძლია.

მითოეული ჩვენგანი წვერია საზოგადოებისა,
ამიტომაც მითოეული ჩვენგანი მოვალეა შეასრუ-
ლოს ის მოვალეობა, რომელსაც მას ადებს საზოგა-
დოება, როგორც ერთ მის წევრს. მხოლოდ მაშინ
შეგვიძლია ვისარგებლოთ საზოგადოების ქონებით,
როცა ჩვენც ვასრულებთ ამ საზოგადოებისაგან ჩვენზე
დადგენილ მოვალეობას. მითოეული წვერი საზო-
გადოებისა უნდა მეცადინობდეს, რომ მის შრომას
სარგებლობა მოჰქონდეს მთელი საზოგადოებისათვის.
ხელმწიფიდან დაწყებული, უკანასკნელ ქვეშევრდო-
მამდე ყველანი იმის ზრუნვაში არიან, რომ დაიცვან
სახელმწიფო და მისი დიდება. ის საზოგადოება არის
კარგი, სადაც ყოველი წვერი, როცა თავისთავად
მოიპოვებს რამე ქონებას, მეცადინობს, რომ საზო-
გადოებასაც განუზიაროს ეს ქონება. როცა ასეთი
თანხმობა იქნება რომელიმე საზოგადოების წევრთა
შორის, მაშინ ამ საზოგადოებაში იქნება დამყარებუ-
ლი წესიერება. მართის სიტყვით საზოგადოების კეთილ-
დღეობა დამყარებულია მის წევრთა თანამშურ შრო-
მაზე. მინც უარსა-ჰყოფს შრომას, ამტკიცებს, რომ
ის არ ზრუნავს საზოგადოების კეთილ-დღეობაზე,
რომელიც არის ამავე დროს თვითოეული ჩვენთაგანის
კეთილ-დღეობა. მიდი ჭინჭკეღასთან, წაჭმატო,
შესედე მას მოქმედებას და შეიგნე რამე (იგავ. 6, 6)-
ზარმაცი კაცი უსარგებლოდ ეპყრობა თავის მოძმეებს.
მას უნდა რომ ისარგებლოს თავის თანამოძმეების
ნაღვაწით და თვითონ კი არ უნდა, რომ თავის
შრომით შეეწიოს მათ. რაღათ სცხოვრებს ამ ქვეყა-
ნაზე ასეთი კაცი, თუმც არაფერს არ გააკეთებს?
ასეთი პირები საზოგადოებისათვის ისეთივე უმნიშვნე-
ლონი არიან, როგორც ხის ზოგიერთი ტოტები, რომ-
მელნიც არც ნაყოფს იღებენ და ამავე დროს სხვა
ტოტებსაც უშლიან გავრდას და ნაყოფის გამოღებას.
ასეთი პირები დამლუპველნი არიან საზოგადოებისათვის,
ერთი მის გამო, რომ თავთ არაფერს არ აკეთებენ,
იკვებებიან საზოგადოების შრომით და ამავე დროს
უბრალოდ იკავებენ ადგილს, როდესაც მათ ადგილას
სხვას შეეძლო სარგებლობის მოტანა საზოგადოე-
ბისათვის.





წმინდა სოფლის მღვდლისა თავის მოქმედებათ.

თქვენ ხართ მარტივი ქვეყნისანი; უკეთუ მარტივი იგი განქარდეს, რაი-თაჲ დაიმარტივოს? აღარა შემძლე-ბელ არიან მეტე, არამედ განგდებად გარე, და დათრგუნვად კაცთა მიერ. თქვენ ხართ ნათელი სოფლისანი; ვერ ხელმწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა. არცა აღან-თიან სანთელი და დასდგინან თქვესუ სვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობენ იგი ყოველთა, რომელნი იყვიან სახლსა შინა. ეგრეთ ჰპირსუ-ნეგდინ ნათელი თქვენი წინაჲ კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი გეოთლინი და აღიღებდენ მამსა თქვენსა ზეცა-თასა. (მათ. 5, 13—16).

ეს მაცხოვრის სიტყვები შეეხებინან ყველა იმ პირთ, რომელნიც ერწმუნებინან ქრისტეს, რადგან თავდაპირველად ეს სიტყვები, როგორც მთელი სიტყვა ქრისტესი მთასა ზედა ხალხისადმი, რომელიც შეიკ-რიბა, რათა მოესმინა მიაი ღვთაებრივი და მაცხოვ-რებელი სწავლა; მაგრამ უმთარესად და ყველაზე უწინ ეს სიტყვები შეეხებინან ქრისტეს უმანლობელს მო-წაფეებს და მოციქულებს, რომელნიც მუდამ ისმენ-დენ ქრისტეს სწავლას და რომელთაც პირველად იწ-ყეს ქადაგება ამა სწავლისა უჩიათა და კერპთ-თაყვა-ნის მცემელთა შორის. ქრისტეს სწავლას ისინი ასწა-ვებდნენ ხალხს სიტყვით, საქმით, თავისი ცხოვრებით და მაგალითს უჩვენებდნენ თავიანთ მომყოლთა და მოადგილეთა. მართალია, ზემოთ მოყვანილი სიტყვე-ბი პირ-და-პირ შეეხებოდნენ მოციქულებს, მაგრამ მოციქულების შემდეგ ეს სიტყვები შეგვეხებინან ჩვენ, მამანო და ძმანო, ჩვენს ცხლანდელს მართლ-მადიდე-ბელ მწყემსთ, როგორც მოციქულების მოადგილეთ. აქედამა სჩანს თუ როგორი საღმრთო და უღალესია ჩვენი მწყემსური მოვალეობა! ჩვენ მარტივი ვართ ქვეყნისა; როგორც მარტივი ინახავს წანდენისაგან სა-ჰმელ ხორაგეულობას და საჰმელს აგემბრიელებს, აგრეთვე მოციქულები და მისი პირველი მოწაფენი და ქრისტეს მორწმუნენი თავიანთი ქადაგებით და სწავლით ქრისტეზე, თავიანთი ცხოვრებით და მაგა-ლითით, ავტკელებდნენ სწავლას და ქრისტეს სარ-წმუნოებას, იცავდნენ ხალხს ზნეობითი დაცემისაგან

და ამჟრად მათ დაიფარეს მრავალი კერპთ-თაყვანის მცემელი და ებრაელი. მზავსად მათისა ჩვენც, მამანო და ძმანო, როგორც მოციქულების მოადგი-ლენი და მიმბაძველნი, ჩვენი შრომით, ჩვენი ცხოვ-რებით და მაგალითით ჩვენს სულიერს შეიღებში, რომლებსთვისაც ქრისტემ მსხვერპლად შესწირა თავის თავი, უნდა აღვძრათ ცხოველი სარწმუნოება და უნ-და ვინმართ საშუალებანი, რომ ამ სარწმუნოების მიხედვით მივაჩვიოთ ისინი ნამდვილ ქრისტიანულ ცხოვრებას; ეს საჭიროა, რადგან სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკუდაჩ აჩს. ზანსაკუთრებით ეხლა არის სა-ჭირო, რომ ამაზე ვიზრუნოთ ჩვენ, რადგან ხალხის შეგენებამ თავი იჩინა და თვითონ ის ითხოვს ცხო-ველს და შეგენებულ სარწმუნოებას. მაგრამ რადგან ვერ ვპოვებ ნამდვილს და ჰეშმარით სწავლა-დარიგებას, ის იძულებულია უსმინოს სხვა-და-სხვა მწვალებელთ და ცრუ სწავლა-მოძღვრებით დაიკმაყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილება. ამით სარგებლობენ ქრის-ტეს სარწმუნოების მტერნი და უარის მყოფელნი და იზიდავენ მათ თავისკენ და ამ გეარად აშორებენ მათ მართლ-მადიდებელ ეკლესიას და ასაზრდოებენ მათ ცრუ-მოძღვრებით. ამიტომ ჩვენი მწყემსური და მო-ციქულებრივი მოვალეობა მოითხოვს, რომ ჩვენ მხნეთ და თხიზლათ ვიყვეთ, დავიცვათ ჩვენი სამწყსო-ნი და მივცეთ მათ ჰეშმარით სწავლა-მოძღვრება, რომელსაც მიჰყავს მორწმუნე საუკუნე ნეტარებისად-მი, სადაც სუფევს ქრისტე, რომელმაც დაგვაყენა ჩვენ მწყემსად, მასწავლებელად თავის ეკლესიაში და თავის მორწმუნეთა ზედა. ამ მოვალეობისადმი გვი-წოდებენ ჩვენ მოციქულთა ხმა და ჩვენი მწყემსო-მთავარნი. მხლა საქმე ჩვენზეა დამოკიდებული, მამა-ნიო და ძმანო!

უკეთუ მარტივი იგი განქარდეს, რაითიჲ დაიმარ-ტივოს? აჩლანა შემძლებელ არიან მეტე, აჩამედ განგდე-ბად გარე, და დათრგუნვად კაცთა მიერ. ამ სიტყვე-ბით აი რას ეუბნება ქრისტე თავის მოწაფეებს: თუმც თქვენ, მოწაფენო ჩემნო და მასწავლებელნო, დაჰ-კარგავთ ზნეობითი ძალას და გავლენას ხალხზე, მაშ რამ უნდა აღადგინოს ეს ძალა და გავლენა? ბეუბ-ნებით, რომ ამის აღდგენა არაფერს არ შეუძლია. თუ კი ჩვენ დაუძლურდებით და არ დავიცავთ ხალხს ზნეობითი დაცემისაგან და ზნეობითად არ გავამაგ-რებთ მას, მაშინ რა დავმართება ხალხს და ან ჩვენ რამ უნდა გავამაგროს და რამ უნდა გავგხადოს ღირსად, რომ ზნეობითი დაცემისაგან დავიცვათ ხალხი?

მაშინ ჩვენც დავიღუპებით ისე, როგორც მაჩილი, რომელმაც დაჭკარკა ძალა და განგდებულ იქმნა დათრგუნვად ხალხთა. მანსაკუთრებით მასწავლებელმა, თუ მან დაივიწყა თავისი პირ-დაპირი მოვალეობა, ე. ი. თუ კი მან არ დამწყსა, არ ამხილა და არ გაასწორა სამწყსო და იზარმაცა, მაშ რით უნდა გაასწორო ზნეობითად დაცემული ხალხი? მწყემსი და მასწავლებელი, რომელიც დაივიწყებს ამ თავის ღვთაებრივ მოვალეობას, ღირსია მოაკლდეს თავის ღირსებას და ყველასაგან გასაკიცხავი შეიქმნეს. ძალიან დიდი პასუხის საგებელი მოვალეობა არის მღვდლის მოვალეობა! მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს: ვისაც ბევრი აქვს მიცემული, მას ბევრიც მოეკითხება, რამდენათაც მაღალია თანამდებობა, იმდენათ დიდია პასუხის გებაც.

მაშ რა უნდა ვქნათ, რომ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი ღვთაებრივი მოვალეობა? ეს კითხვა ძალიან დიდია, მით უმეტეს, რომ ამ კითხვის ასე თუ ისე გარდაწყვეტაზეა დამოკიდებული წარმატება ჩვენი მწყემსური მოვალეობისა და ამ კითხვის გადაწყვეტა კი საჭიროა, რადგან ჩვენ თვითონ ხშირად ვაძლევეთ ამ გვარ კითხვას ჩვენ თავს. ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ისე ძნელი არის, რომ მარტო მე არ შემიძლია ვრცელი და ღირსეული პასუხი მოგცეთ; მე მხოლოდ, მამანო და ძმანო, მსურს, რომ რამდენიმე ჩემ წერილებში თქვენდამო გამოვსთქვა ჩემი აზრი და შეხედულება, რომ იმ კითხვის თაობაზე სხვებმაც გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი, რომ ერთად გადავსწყიტოთ ეს დიდი და სამძიმო კითხვა და სიტყვიდგან ყველა ერთად გავდიდეთ საქმეზე და ამ ფრად მოვიყვანოთ სისრულეში ჩვენი გარდაწყვეტილება.

მაშ, რა არის საჭირო ჩვენთვის, რომ ნამდვილად აღვასრულოთ ჩვენი მწყემსური მოვალეობა?

პირველად და აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ გვერანდეს მტკიცე და ცხოველი სარწმუნოება ძრისტისი, ქვეყნის მაცხოვრისა და ეკლესიის მწყემსთ-მთავრისა, რომელმაც დაამყარა ეკლესია და ამ ეკლესიაში დაგვაყენა ჩვენ მწყემსად და მასწავლებლად; ამისთანა სარწმუნოებასთან საჭიროა აგრეთვე სიყვარული და გულს-მოდგინება მწყემსის სამსახურისადმი. მხოლოდ ამ საშუალებით მოციქულებმა და მათმა მოადგილეებმა დასძლიეს ქვეყანას, თუმცა ისინი ყოველის მხრით შინაური და გარეგანი მტრებით იყვნენ გარემოცულნი. ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველივე სამოქალაქო უფლებათა, ყველანი მათ სდევნი-

დენ, აწვალდნენ და კიდევ ხოცდენ. თუმცა ჩვენ მივბაძეთ მოციქულებს სარწმუნოებაში, განუახლებოდათ საყვარულში და თავის წმიდა საქმისადმი გულს-მოადგინებაში, მაშინ, მამანო და ძმანო, შევიძლებთ, რამ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი მწყემსური მოვალეობა. ეს უფრო ადვილია ჩვენთვის, რადგან ჩვენ ეხლა არა თუ არ გვსდევნიან და არ გვაწვალდებენ სახარების სიტყვის ქადაგებისათვის, როგორც აწვალდნენ და ხოცდენ მოციქულებს ამავე საქმისთვის, არამედ ჩვენი მართლ-მორწმუნე მთავრობა ჩვენ და ჩვენს წმიდა სამსახურს იფარავს, მეცადინობს და ითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ ჩვენი მოვალეობა მტკიცე შევასრულოთ. მტკიცე და ცხოველი სარწმუნოება, სიყვარული და გულს-მოდგინება მწყემსის წმიდა მოვალეობისადმი არის ჩვენი სულიერი საჭურველი, რომელიც გადმოგვცეს ჩვენ მოციქულებმა და მათმა ღირსეულმა მოადგილეებმა. მისაც აქვს ყველა ეს თვისებანი, ის ღირსი მოადგილეა მოციქულთა და ქრისტიანთა მხედარია ძრისტისი, რომელიც ყოველთვის მზათ არის და შეუძლია წინააღმდეგს ეშმაკის მანქანებთა, რადგან ამა ამა ბრძოლა ჩვენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, ამაქედ მთავრობათა მიმართ და სკამწიფებათა, სოფლის მშურებელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთოისათა, სუფთა მიმართ უკეთუგებისათა, რომელნი ამათ ცასა ქვეშე (ეფეს. 6, 12); რომელიც ჩვენგანი ამ სასულიერო საჭურველით არ არის საკმაოდ აღჭურვილი, ის ემსგავსება მხედარს, რომელიც დასტოვებს საომარ იარაღს, რადგან ის დაამძიმებდა მას გზაში და ხელ ცარიელი შევარდება ჩხუბში- ასეთი მწყემსი ემსგავსება მხედარს, რომელიც მუდამ თავის იარაღს არ იშორებს ხელიდგან, მაგრამ ჩხუბის დროს კი ვერ ახერხებს, თუ როგორ მოიხმაროს ეს იარაღი.

ჩვენგან ნაჩვენები პირობების საჭიროება ისეცხადია, რომ ამის დასამტკიცებლად საჭირო არ არის კიდევ დასამტკიცებელი საბუთების მოყენა. საკმაოა მხოლოდ ზოგიერთი ადგილები მოვიყვანოთ საღმრთო წერილიდამ, რომლებიდანაც სჩანს ამ სასულიერო იარაღის მნიშვნელობა და საჭიროება, რომ მწყემსმა თავისი მოვალეობა ღირსეულად შეასრულოს.

და რქვეს მოციქულთა უფალს: შემიძნე ჩვენ სარწმუნოებაი. ჭკკა მათ იესო: უკეთუ გაქნდეს სარწმუნოება, ვითარც მარცაჲი მდოგვისა: აჩუთმცა ლედეს სუფელსა ამა; აღიფხვას და დაეწიქვე ზღვასა შინა;



ისმინამც თქვენი (ლუკ. 17, 5, 6); ამ სიტყვებით მაცხოვარი უჩვენებს მოციქულებს, რომ, თუ მათ ექნებათ ცოტა სარწმუნოება, მაგრამ ჭეშმარიტი და ნამდვილი, ეს ცოტა სარწმუნოებაც ისე გაძლიერდება მათში, რომ ისინი შეიძლებენ თვით დიდი საქმეების აღსრულებასაც. მართლაც, წმ. მოციქულებმა, მათმა მოადგილეებმა, მსოფლიო კრებათა მწყემსთა და მასწავლებელთა თავის მაგალითით, რომელიც ჩვენც დაგვიწესეს, დაამტკიცეს ეს.

წმიდა მოციქული პავლე ტიმოთეს პირით გვეუბნება ჩვენ: რომლისათვის მოგახსენებ შენ განცხადებად მსურვალად მადლსა მას ღმრთისას, რომელ აწ შენ თანა დასხმითა სელთა ჩემთათა. ჩამეთუ აწ მომცა ჩვენ ღმრთისან სული მოშიშებისა, აწამედ ძლიერებისა და სიყვარულისა და სიწმიდისა. ნუ უგვიტრცხვინის წამება იგი უფლისა ჩვენისა, ნუმცა იგი უფლისა ჩვენისა, ნუმცა მე, კრული ესე მისი; აწამედ თანა იჭირვადუ სასარებასა მას ძალითა ღმრთისათა, რომელმან იგი მისსა ჩვენ და მიხვენსა ჩვენ ჩინებითა მით წმიდითა, აწა საქმეთა ჩვენთათვის, აწამედ თვისითა ნებითა და მადლითა, რომელი მომცა ჩვენ ქრისტე იესოს მიერ უბირატეს უამთა მით საუგუნეთა. რომელი გამოსცხდნა აწ გამოჩინებითა მით მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელმან იგი განაჩრკა სიკვდილი და განანათლა ცხოვრება და უსწრელებათა სასარებითა მით, რომლისათვის დადგინებულ ვან მე ქადაგად და მოციქულად და მოძღვრად წამართთა, რომლისათვისაც ესე მეკვების; აწამედ აწა მტრცხვინის, ჩამეთუ ვიცი, რომელი იგი მტრმენია, და მტრმან, ჩამეთუ ძალ-უმს კვდრებასა მის ჩემისა დამარხვად მეტმესა მას დღესა. სასუდ გაქნდინ ცოცხლებისა სიტუვა იგი, რომელი გესმა ჩემგან, სარწმუნოებითა და სიყვარულითა ქრისტეს იესოსითა (2 ტიმ. 1, 6—13). ჩვენც, მამანო, და ძმანო, რომლებიც ვართ მოწაფენი და მოადგილენი მოციქულებისა, მღვდლად ხელ-დასხმის დროს ღმრთი გვაძლევს სულს აწა მოშიშებისა, აწამედ ძლიერებისა, სიყვარულისა და სიწმიდისა; ამიტომ ჩვენ სასოწარკვეთილებათაში კი არ უნდა ვარდებოდეთ, არამედ მტკიცედ უნდა ვადგეთ ჩვენი მოვალეობის აღსრულებას და კვალ და კვალ უნდა მივსდევდეთ მოციქულების და მათი მოწაფეების მაგალითს და სწავლას; ისინი თვით თავის დროის უძნელეს ხანებშიაც კი, როცა მათ სდევნიდნ და აწვალდებდნ, მტკიცედ და უშიშრად ასრულებდნ იესო ძრისტეს სწავლა-მოძღვრებას, რადგან კარვად შეგნებული ჰქონდათ, თუ

ვის ერწმუნებოდნ ისინი და ამიტომ მთლად თავიანთი მოვალეობის აღსრულებას მეცადინობდნ.

ჩვენ სახეში უნდა გვექონდეს და მუდამ გვახსოვდეს, რომ იმისთვის, რომ ჩვენში ავლდრათ და განვაძტკიცოთ ჩვენს სულში და გულში მტკიცე და ცხოველი სარწმუნოება, სიყვარული და მუყიათობა ჩვენი მოვალეობისადმი, უნდა შევასრულოთ ორი პირობა, რომლებითაც სარგებლობდნ მოწაფენი და რომლებითაც უნდა ვისარგებლოთ ჩვენც: 1) პირველად ჩვენ თვითონ უნდა ვმეცადინობდეთ, რომ ჩვენი თავი კარვად დავიჭიროთ და მასთან ვიზრუნოთ ჩვენი გონების განხნისათვის და მუდამ ყურადღებას ვაქცევდეთ ღვთის სიტყვას, როგორც მოციქული იმავე ტიმოთეს პირით გვეუბნება ჩვენ: ნუ უღებ-ჭეოფუ, რომელი ეგე აწ შენთანა მადლი, რომელი მოგცა შენ წინასწამტყვევებათა დასხმითა სელითა სურცობისათა. ამის აწურდიდ და ამას შინა იყავ, რათა წამტრებულეა ეგე შენი ცხად იყას ყოველსა შინა ეკრძალე თავსა შენსა და მოძღვრებითა მით დაადგერ მათ ზედა, ჩამეთუ, ამას რა ჭეოფადე, თავიცა შენი აცხარე და მოწმინდინე შენი (1 ტიმ. 4, 14—16); 2) მუდამ წმიდა გულით უნდა ვსთხოვდეთ შემწეობას უფალს, რომელმაც მის ეკლესიაში დაგვადგინა მწყემსად და მასწავლებლად.

შუალო! გაამრავლე ჩვენშიაც სარწმუნოება! შენი ხალხია, რომლისათვის შენ შენი თავი მხსევრვალად შესწირე, შენია ეკლესიაც, რომელიც შესდგება ამა ხალხისაგან და რომელშიაც, ეკლესიაში, შენ, წმიდა, ხარ თავი. შენი ვართ ჩვენც, უღირსნი და სუსტნი, რომელნიც ვართ დადგინებულ შენგან ამ ეკლესიაში მწყემსად და მასწავლებლად; შენ გავსწავე ჩვენ, შთაგვაგონე, გავგამაგრე და შეგვეწიე ჩვენ, რომ ღირსი ვიქმნეთ შენი მოწაფეობისა და შენი მცნების აღმასრულებელი და შეგვეძლოს ღირსეულად შევასრულოთ ჩვენდამი მობარებული წმიდა საქმე, რომ ჩვენი თავიც და სამწყსონიც ვაცხოვნოთ.

წმიდაო მოციქულნო, მამანო, მწყესნო და მასწავლებელნო, შევედრეთ თქვენც უფალსა ჩვენ უძლურთა და ცოდვილთათვის, რათა შეგვეწიოს ის ჩვენ, რომ ჩვენც და ჩვენი სამწყსონიც ვიყვეთ თქვენი სწავლა-მოძღვრების აღმასრულებელნი.



წარილი სამეგრელოდამ.

ორს აპრილს, დღით ხუთშაბათს ახალს მწყემსთ-მთავარს დადის სიხარულით მოელოდა თავის სამწყსო ს. მარტვილში, სადაც შეკრებილი იყო უთვალავი საზოგადოება და აგრეთვე სამეგრელოს ეპარქიის, სენაკის მაზრის სამღვდლოება, მაგრამ იმ დღეს ყოველად სამღვდლო არ მობრძანდა მარტვილში. სამღვდლოება მეორე დღეს შუადღემდისინ უცდიდა მეუფის მობრძანებას და რადგან ამ დღესაც არ მობრძანდა ყოველად სამღვდლო და შემდეგ დღეებში იქ მოცდა მღვდლებისათვის მოუხერხებელი იყო ლაზრობის და ბზობის დღესასწაულთ და აგრეთვე ვნების კვირიკისა გამო, ამისათვის სამღვდლოებამ აღმოაჩინა დებუტატებათ ორი ბლალაჩინი: ანჯაფარიძე და ბერიძე და მიანდო მათ მოეხსენებიათ მღვდელთ-მთავრისათვის მიზეზი მიგებების მოუხერხებლობისა და ღირსეულად მიელოცნათ ყოველად სამღვდლო-სათვის ბურია-სამეგრელოს კათედრაზე მათი ეპისკოპოსად დანიშვნა.

შოველად სამღვდლო ბრიგორი, ეპისკოპოსი ბურია-სამეგრელოსა მობრძანდა ს. მარტვილში ოთხს აპრილს, საღამოს. მათ მეუფებას დიდის სიხარულით მიეგება დიდ-ძალი საერო საზოგადოება და მახლობელი სამღვდლოებაც; ყოველად სამღვდლოს მიეგება სამღვდლო დასი დაწესებულის რიგისამებრ და შემდეგ მცირე შეგვიწყალენისა წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ყამიერობა ხელმწიფისა და მათთა სახლობათა, უწყიდესის სინოდისა და ყოველად სამღვდლოს ბრიგორისა; ამის შემდეგ მწყემსთ-მთავარმა წარმოსთქვა მშენიერი სიტყვა. როცა ყოველად სამღვდლომ გაათავა სიტყვა, საზოგადოების მხრით მიხლო-ბილმა ერთმა მარტვილელმა აზნაურმა, გვართ მლიავამ, მოახსენა მწყემსთ-მთავარს რაოდენიმე სიტყვა და გამოაცხადა საზოგადოების მხრით მხარულება მათი ეპისკოპოსად დანიშვნისა გამო და თან სთხოვა ყოველად სამღვდლოს, რომ მარტვილის სობოროს დაჩაგრულს მდგომარეობას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. ამასვე ყოველად სამღვდლომ დაამედა საზოგადოება და ბრძანა, რომ ის ყოველ გვარ ღონისძიებას იხმარს მარტვილის სობოროს გაუმჯობესებისათვის მით უმეტეს, რომ თვითონ პირველიდგან ამავე სობოროშია აღზრდილი და სხვა. მეორე დღეს, ბზობას, ყოველად სამღვდლომ სწირა მარტვილის სო-

ბოროში. წირვის დროს დიდ-ძალი ხალხი იყო ეკლესიაში. ამ დღისთვის ძალიან შორეული სოფლებიდან მოვიდნენ პატივცემულნი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი ორსავე სექსისა ყოველად სამღვდლოს სანახავად და წირვის მოსასმენად. შენდგომ წირვისა ყოველად სამღვდლომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განუმარტა მსმენელთ მნიშვნელობა დღესასწაულისა.

იმავე დღეს ყოველად სამღვდლომ დანიშნა კომისია, რომლის წევრებად დანიშნულ იქმნენ: კათედრის დეკანოზი მ. ავეკასიძე, ამ სტრიქონების დამწერი და პანდელაკი სობოროსა მღვდელი ზოსიმე შორდანი. ამ კამისიას უნდა მოეყვანა ცნობაში და შეემოწმებია სობოროს ქონება; კომისია მაშინვე შეუდგა თავის საქმეს და შეამოწმა სობოროს ქონება იმ სიით, რომელიც 1879 წელში იყო შედგენილი უწყიდესის სინოდის განკარგულებით. სობოროს ქონება ყოველივე უკლებლად აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი ორიადე ნივთი გასაკეთებლათ ყოფილა გაგზავნილი რუსეთში. შოველად სამღვდლომ დანიშნა მეორე კომისია, რომელსაც მიანდო შედგენა სიგელებისა, თუ რა მდგომარეობაში არიან საარქიერო საეკლესიო სახლები, საეკლესიო დუქნები და წისქვილნი. კომისიის განხილვისამებრ აღმოჩნდა, რომ საეკლესიო სახლნი, დუქანნი და წისქვილნი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან სიძველისა გამო.

შოველად სამღვდლო ბრიგორი 5 აპრილი-დამ 16 აპრილამდი დარჩა მარტვილში, ესე იგი ვნების კვირაში პასექის ოთხშაბათამდი. ამ დროის განმავლობაში ყოველად სამღვდლო ცხოვრება ისეთ სახლებში, რომელშიაც წვიმის დროს კაცს უჭირდებოდა თავის დაფარვა.

16-ს აპრილს მისი მეუფება მიწვეულ იყო ს. მიწიაში, რომელიც შორავს მარტვილის სობოროს 25 ვერსტის მანძილზედ, ჩაჩიბაიას ყმაწვილის დასაფლავებაზე. აქ ყოველად სამღვდლომ სწირა და შემდეგ დაბრუნდა ისევ მარტვილში.

29 აპრილს ყოველად სამღვდლო წაბრძანდა ქ. შოთში. ვერ წარმოიდგენს კაცო იმ მხიარულებას, რომლითაც ფოთელები მიეგებენ ყოველად სამღვდლოს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ფოთელებს შეუსრულდათ თავისი გულის წადილი.

1 მაისს ყოველად სამღვდლომ სწირა შოთის ქალაქის ეკლესიაში, სადაც დიდი საზოგადოება დაესწრო, როგორც ქალაქისა, აგრეთვე ბურისა და



მთელი სამეგრელოსა; სამღვდლოება ლეხუმის მაზრიდამაც იყო აქ მრავალი. შემდგომ წირვისა ყოვლად სამღვდლომ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა რომელშიაც გამოხატა საზოგადოდ მოვალეობა მღვდელ - მთავარისა. სადილათ ყოვლად სამღვდლო და სხვა სამღვდლო პირნი მიწვეულნი იყვნენ ქალაქისაგან.

ყოვლად სამღვდლო ქალაქ შოთში დაბინავდა ქალაქისაგან დაქირავებულ სახლებში. ძალაქ შოთშიდამ ყოვლად სამღვდლომ გამოსცა მიწერილობა ბლალოჩინებთადმი; ამ მიწერილობით ყოვლად სამღვდლო აცნობებს სამღვდლოებას, რომ ის დაბინავდა ქ. შოთში, გახსნა ეპარქიალური კანცელარია უმაღლესის მთავრობის ბრძანებით, მხოლოდ ზაფხულობით ინებებს ცხოვრებას ხან მარტვილში და ხან ოზურგეთში და ამისათვის ამიერიდგან ყოველივე ქალაქს გზავნიდენ მასთან ქ. შოთში.

15-სა მაისს ყოვლად სამღვდლო ბრძანდებოდა მწირველი ქ. ბათუმში; ბათუმშიდამ წაბრძანდება ბუჩხაში ეკლესიების და სასულიერო კრებულთა მდგომარეობის შესატყობად და იენისის პირველი რიცხვისათვის მობრძანდება ქ. შოთში.

10-ს იენისს არის მისის მეუფებისაგან დანიშნული კრება სასულიერო დებუტატთა ქ. შოთში სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის საქმეების შესახებ.

ყოვლად სამღვდლო ამ თავითვე შეუდგა მარტვილის სობორში სახლების გაკეთებას და მუშაობაც დაწყებულია. მარტვილში რომ სახლები ყოფილიყო ყოვლად სამღვდლოსათვის, ის ამ ზაფხულობით თითქმის არსად ფიქრობდა წაბრძანებას, მაგრამ უსახლოთ კაცის ცხოვრება არათუ მარტვილში, არამედ სხვაგანაც მოუხერხებელია.


მხლავე იჩინეს თავი მამუზლარა პირებმა და ხელმოუწერიელი „დანოსებით“ აწუხებენ მწყემსთ-მმართველს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ყოვლად სამღვდლო ჭეშმარიტებით შეუდგება და შეიტყობს ამ საქმეში დამნაშავე პირებს და მათ მოგპყრობა სამართლიანად და მით განაშორებს სამწყსოდამ ერთი მეორის სიძულილს, შურს, ცილის წამებას და ყოველ მსგავს ამაოებას.

ბლად. მღვ. გიორგი ბეჭაძე.

სამხრეთ ბოლგარიილამ.

სამხრეთ ბოლგარიაში, შავი ზღვის მახლობლად მდებარეობს ათიოდე სოფელი, რომლებშიაც ბოლგარები სცხოვრობენ. ამ სოფლებში ამას წინეთ მომიხდა ყოფნა და აქ ყოფნობის დროს ხალხში შევნიშნე სხვა-და-სხვა ამაოდ-მორწმუნეობანი და ბევრი არა ქრისტიანული წესები. მე აქ მოვიყენე ამ ხალხის ზოგიერთა ამაოდ-მორწმუნეობათა და არა ქრისტიანულ წესებს, რომ ამით დავანახო მკითხველებს, თუ რა მდგომარეობაშია აქ განათლება და ქრისტეს სწავლას რამდენათ მტკიცეთ გადგმული აქვს ამ ხალხში ფესვი.

ზემოთ აღნიშნული სოფლების მცხოვრებლებმა დღემდის არ აციან, თუ რა არის კვირა და სხვა დღესასწაული დღეები. ისინი მხოლოდ უქმობენ შობის დღეს, აღდგომას და ამაღლებას. მხოლოდ ამ დღეებში თუ შევლენ აქაურები ეკლესიაში სალოცავად, თორემ სხვა დროს ერთ კაცსაც ვერ ნახავთ ტაძარში. ამ დღესასწაულ დღეებშიდაც მარტო კაცები თუ შევლენ ეკლესიაში, თორემ ქალებს აღკრძალული აქვთ ეკლესიაში სიარული. აქაურების აზრით თუ დედა კაცი შევიდა ეკლესიაში, იმ წელს ღმერთი გაურისხდება ხალხს და სეტყვით გაუფუჭებს მას ნათეს მინდვრებს. ამ უკანასკნელ დრომდე აქაურები თავიანთ მიცვალებულებს ცეცხლში სწვამდნენ, მაგრამ ენლა რუმილიის მთავრობამ აღუკრძალა მათ ეს ჩვეულება. როგორც აქაურებმა ამიხსნეს, მიცვალებულის გემს ისინი იმისათვის სწვამდნენ, რომ მიცვალებულის სული ვითომ აქ ცეცხლში გაიწმიდება და იმ სოფელს ცეცხლს გადაურჩებაო. როცა მთავრობას აღუკრძალავს ეს ჩვეულება ხალხისათვის, მას ამის სამაგიეროდ სხვა წესი შემოაუღია: როდესაც ვინმე მოკვდება, მაშინვე მიცვალებულს დანით გაუგმირენ მუცელს და ხელების და ფეხების ყველა თითების ნუნებში შეასობენ ეკლებს. ეს უკანასკნელი ჩვეულება თითქმის მთელს ბოლგარიის ყველა კუთხეებშია გავრცელებული. შოველი კაცი ეხვეწება თავის მონათესავეს, რომ მას სიკვდილის შემდეგ მუცელი გაუგმიროს დანით. თვითონ მე ვიყავი მოწამე, როცა ერთ მომაკვდავს, რომელსაც ჯერ კიდევ სული ედგა, გაუგმირეს მუცელი დანით და ბრჩელების ნუნებში შეასვეს ეკლები.



როდესაც მიცვალებულს წასვენებენ სასაფლაოზე, გამყოლს არ შეუძლია უკან მოიხედოს, სანამ თვით მღვდელი არ მოიხედავს უკან. მათი აზრით, ამას იმიტომ შეეძიან, რომ კიდევ არაფერ მოჰკვდეს იმ ოჯახში, საიდანაც მიცვალებული გაიტანეს. ამ დროს თუ ვისმეს მტერობა აქვს მიცვალებულის ღირსუფალთან, ის განგებ ვაჰყვება მიცვალებულს და გზაზე, თუ მოახერხა, რამოდენჯერმე მოიხედავს უკან, რომ ღირსუფალს კიდევ მოუკვდეს ვინმე ოჯახში. როცა დაუახლოვდებიან სასაფლაოს, მაშინ მიცვალებულს დასვენებენ მიწაზე. ხალხი ჩაჯდება და ნაბაფს სულს; მღვდელი, რომელიც მიცვალებულს მიუძღვის წინ, უკითხავს მიცვალებულს ქლოცვას და რადგან უკან მიხედვა არ შეუძლია, პირუკუღმა მოდის და ისე უახლოვდება მიცვალებულს. როგორც ღირსუფლები, აგრეთვე ისინიც, რომლებიც მიცვალებულს ვაჰყვებიან, სახლში მოამზადებენ პურს, რომელსაც ასევე სამსხვერპლო პურის ბეჭედი, მოხარშულს ხორბალს და ერთ ბოთლ ღვინოს. მისაც ესეები არა აქვს მოამზადებული, ის არც კი ვაჰყვება მიცვალებულს. როცა მიცვალებულს დასაფლავებენ, ხალხი თავაზობს ერთი ერთმანერთს საქმელებით მომზადებულ პურს, ხორბალს და ღვინოს და მიცვალებულის საფლავზედ შეექცევიან. შემდეგ ამისა საფლავზე ღვინით დაიბანენ ხელს. ამ უკანასკნელის მოქმედებით ისინი ვითომ მიცვალებულის სულს აგრილებენ. შემდეგ ბრუნდებიან სახლებში, მაგრამ უკან მიხედვა არაფერს შეუძლია, თორემ იმათი ფიქრით, ვინც უკან მოიხედავს, ის მიცვალებულს იპატივებს თავის სახლში. მიცვალებულიც, ვითომ, როცა დაღამდება, მივა მის სახლში და დაახრჩობს იმას, ვინც უკან მიიხედა. ამიტომ, როცა სასაფლაოდად ბრუნდებიან გამყოლნი, ყველანი ქვას იღებენ ხელში და უკან ისვრიან, რომ მათ მიცვალებულის სული არ ვაჰყვებს შინ.

ამ მხარეში სუფევს ერთი ჩვეულება, რომელიც არ შეფერის ქრისტიან ხალხს. ჰოველ სოფელს ეკკლესიის ეზოში აქვს მიჩემებული ცოტა ადგილი, სადაც შეფაროვებენ შემას ნების კვირაში. დიდ ხუთშაბათს, როცა ცეცხლის ასანთებ მასალას მოამზადებენ, დაუკრავენ დაურს, რომელიც ეკკლესიაში იესო ქრისტის ხატის წინ უკიდიათ. ღაურის ხმაზე ხალხი იკრიბება. როცა ხალხი შეიკრიბება, შემას შეუკიდებენ ცეცხლს. მას შემოაუხსნებიან გარს და შეექცევიან პურის ჭამას. როცა შემა მთლად დაიწ-

ვის და დანაკვერცხლდება, მაშინ შენიშნავთ, რომ ხალხი დამ გამოდიან რამდენიმე პირნი, რომელთაც ცეცხლში უნდა ითამაშონ. ამ მოთამაშეთ უეცრად სახე შეეცვლებათ, თვალებს აბრიალებენ და იწყებენ ყვირილს: ხუ, ხუ, ხუ! ამ დროს ხალხი ალტაცებაში მოდის და ფიქრობს, რომ მოთამაშეზე გადმოვიდა სული წმიდა და მისი საშუალებით მათზედაც ვრცელდება ღვთის მადლი.

შემდეგ მოთამაშენი იხდიან ტანთ-საცმელს და მარტო პერანგში რჩებიან, ამ დროს მათთან მიდის ერთი კაცი და გარშემო უკმევს და მერე ხელში აძლევს მათ ხატს, რომელზედაც რალაც რქიანი და კუდიანი სურათია დახატული. როცა ამ ხატს აიღებს ხელში მოთამაშე, ის უფრო გაგიჟდება და მაშინვე ცეცხლში შეფარდება და ცეკვას იწყებს. მედაურეც უკრავს, რაც შეუძლია, მოთამაშე ცეცხლში თამაშობს რამდენიმე წამს და არა ვითარიმე სიმწუხარეს არა გრძობს. შემდეგ ეს მოთამაშე გამოვა ცეცხლისაგან, იქვე ვაკეთებულ აუზში ჩავა და ვაგრილდება. მასაკვირველი ის არის, რომ მოთამაშეს არაფერი დამწვარი არა აქვს. მოთამაშენი იქნებიან ხოლმე ორივე სქესისა; რაც უფრო ბევრი იქნებიან მოთამაშენი, იმდენად ხალხის სიხარული მეტია, რადგან, მათი აზრით, ღვთის მადლი უფრო ბოლომად გადმოვა ხალხზე. როდესაც მოთამაშეთა რიცხვი მცირე იქნება, ხალხი ფიქრობს, რომ იმ წელს იმათ ღვთისაგან ხეირი არ დაეყრებათ და მოსავალიც ცუდი ექნებათ. აქაური მღვდლები ამ თამაშში მონაწილეობას იღებენ; იმ დღეს ეკკლესიის წესით დანიშნულ სახარებასაც იქ კითხულობენ. ამ დღეს თუ ვისმე ახლად დაბადებული სახლში მოუნათლავი ჰყავს, მოიყვანს ეკკლესიის გალავანში და სამ გზის ცეცხლს გარე შემოატარებს, რომ მისგან განვიდეს არაწმიდა სული. პარასკევს და დიდ შაბათს ხალხი დიდ ქეიფს ატარებს.

ამ გვარადვე ცეცხლშითამაშს ასრულებენ მაისისთვის 21 წმ. პონსტანტინე და მღენეს დღესასწაულ დღეს. ამ დღეს ვისაც მოუნათლავი ყმაწვილები ჰყავს, მოიყვანს, ცეცხლს გარშემო შემოატარებს და მერე შემოთ მოხსენებულ აუზში მონათლავს.

აღსარება აქ არ იციან. ისე ეზიარებიან, რომ თავიანთ მღვდლებთან არ აღიარებენ ცოდვებს. მს წესი არსებობს მთელს ბოლგარიაში. მღვდელი შემდეგ კურთხევისა არაფისთან ცოდვებს არ აღიარებს. აქ ხალხი ზიარობს მხოლოდ ბზობის კვირას. ზიარების დროს ქალებს ეძლევათ უფლება, რომ ეკკლესიაში

შევიდნენ და ეზიარნენ. მაგრამ შემდეგ ზიარების მიღებისა, ქალი მაშინვე გარეთ უნდა გამოვიდეს. მღვდელს თუ ზიარება შემოაკლდა და მაზიარებელნი ბევრნი არიან, მაშინ ის დანაწილებს უბრალო სამსახერპლო ჰურს, ჩაპყრის ბარძიმში, მერე დაასხამს ღვინოს და ამით აზიარებს დანარჩენ ხალხს. აქაური ეკლესიები ძალიან ღარიბულად არიან მორთულნი. იშვიათად შეხვდებით ისეთ ეკლესიებს, სადაც ჯვარის და ორიოდ შენაღის მეთი ნახოთ.

ბზობის კვირას იკრიბებიან გასათხოვარი ქალები და მართვენ ცეკვას. ამ მოთამაშე ქალებს ეძახიან „ლაზარისტებს“. მთელი ხალხი იკრიბება იმათ საყურებლად. ლაზარისტები ყველა მსურველს უმღერენ ლაზარეს სიმღერას და მსმენელთაგან მიიღებენ საჩუქარს. მინც ამ ლაზარისტებს ლაზარეს სიმღერას ამღერებეს, ფიქრობს, რომ ლაზარე მას სიცოცხლეს მოუმატებს. ბოლოს ამ მომღერალი ქალების მეთაური ყველა ამ მოთამაშე ქალებს მიიწვევს სახლში და კარგად გაუმასპინძლდება. აღდგომა დღეს ეს მიპატიქებული მომღერალი ქალები თავის მეთაურს მოსაკითხს მიუტანენ და ევედრებიან მასს, რომ ის შეევედროს მათი დღევრძელობისათვის ლაზარეს.

როგორც ზემოთ მოხსენებულ სოფლებში, აგრეთვე ბოლგარის ბევრს სხვა სოფლებშიაც, კაცს ჯვარდაწერილი ცოლის გაშვება და მეორეს შერთვა ადვილად შეუძლია. ამას არც ადგილობრივი მთავრობა და არც სასულიერო მმართველობა მათარ უშლისთ. მე თვითონ ვიცნობ ზოგიერთებს, რომლებიც თავის პირველ ცოლის სიცოცხლეშივე ორჯელ - სამჯერაც დაქორწილებულან სხვებზედ.

ქართული.

სასულიერო სემინარიის რეპტორის მოკვლის გამო.


როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოვისხენით, სასულიერო სემინარიის განსვენებულ რექტორის დეკანოზის ჩუდდუკის გვამის დასაფლავება იყო 26 მაისს. ამ დღეს ქუთაისის ალექსანდრო-ნევესკის ეკლესიაში მწირველი იყო საქართველოს ექსარხოსი

პავლე და ქალაქის წარჩინებული სამღვდლოება. დამარხვამდე და წესის აგებაზე დაესწრა ქალაქის მთელი დიდ-კაცობა და ყველა სასწავლებლების მოსწავლენი. წირვის გათავების შემდეგ დაიწყო წესის აგება და წესის გათავებისას, გამოთხოვების დროს, მაღალ ყოვლად უსამღვდლოესმა არქიეპისკოპოსმა პავლემ წარმოსთქვა შემდეგი შესხმა:

„ღვთიერეთ ჩვენ, ძმანო და დანო, განსვენებული თანამოძმე ჩვენი და ლოცვით მოვამზადეთ მისი გვამი ჩასაბარებლად მიწისა, რომლისაგან შექმნილ არს იგი.“

ზანსვენება შენს სულს, ღირსო მღვდელ-მომქმედო და კეთილ-სინდისიერო მოღვაწე! ზანსვენება შენს გვამს! ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შენი სული მოიპოვებს ღირსეულ განსვენებას. სიტყვა მიტევებისა, რომლითაც შენ მზგავსად უფლისა, რომელიც ლოცვილობდა ჯვარზე მის ჯვარზე მცმელთათვის, განუტევე სული, სიტყვა მიტევებისა მკვლელისათვის და შენ მტერთა, კეთილი და მშვიდობიანი ღიმილი, რომელიც განაბრწინებდა შენს მომაკვდავ პირის-სახეს, — ყველა ესეები გვარწმუნებენ ჩვენ, რომ შენ მშვიდობით განისვენე წილშე ლეთისა, თუმცა კი მოჰკვდი ბოროტი კაცის ხელისაგან და სიკვდილის შემდეგ სიამოვნებ სრულის ნეტარებით ზეციური მამის საფანელსა შინა. ზანსვენება შენს გვამს საყველთაო მკვდრეთით აღდგომამდის უკანასკნელსა მას დღესა, როდესაც იქმნება აღდგომა სანეტარო ცხოვრებისათვის.

მშვიდ არს განსვენებული ჩვენი თანამოძმე! მაგრამ ჩვენთვის, ძმანო და დანო, მისი მოწამებრივი სიკვდილი ზარ-დამცემია. ბამოუთქმელია ლეთის განგება. ჩვენის წარმოდგენით შესაძლებელი იყო, რომ განსვენებული იცოცხლებდა დიდხანს, სარგებლიანად და მშვიდობით. ლეთის მოშიში მღვდელ-მომქმედი, რომელიც თავდადებით მწყსიდა თავის მსმენელთა თავისი ცხოველი სიტყვით, უმფროსი და მასწავლებელი, რომელიც შესანიშნავი იყო თავისი ნიჭით, გამოცდილებით და დიდის ცოდნით, ეს განსვენებული თანამოძმე ჩვენი დაუღალავად ზრუნავდა საზოგადო სიკეთისათვის, არა მხოლოდ სემინარიის სასიკეთოდ, არამედ მთელი მხარის სასულიერო სასწავლებლებისათვის. ჟოველივე საქმეს, რომელსაც ის ხელს ჰკიდებდა, მთელს თავის სულს და გულს ჩაუდგამდა ხოლმე. დაუღალავად მცუდინობდა, რომ, როგორც სემინარიაში, აგრეთვე სასულიერო სასწავლებლებში



საქართველოს
ხალხთა

სწავლების საქმე სწორს გზაზე დაეყენებია და თავისი მეცადინეობით ბევრი კაი საქმე ჰქნა. მამობრივის სიყვარულით ზრუნავდა ის თავის მოწაფეებზე და სურდა, რომ გაეუმჯობესებია მათი გარეგანი ცხოვრება და აღმადგინებია მათში ზნეობა. როგორი გულის მზურვალეობით ეკიდებოდა ის საქართველოს საქსარხოსოში ლეთის-მშობლის სახელობაზე დაარსებული ძმობის, ეპარქიალური სასწავლებლის რჩევის და ძაეკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისაგან მინდობილ საქმეებს! მის არ ახსოვს, თუ რა შრომას ეწეოდა ის საღმრთო მსახურების გარეშე საუბრებისათვის, რომლებიც სწარმოებდნენ სემინარიის ეკლესიაში? ჰველა ამ შრომისათვის უნდა მიეღო მას მადლობა და ამ გეარ მადლობას და ლოცვა-კურთხევას იღებდა ის პატიოსან და კეთილ-მზრახველ პირთაგან. ჰოველი ესეები უქადოდენ მას მრავალ-ჟამიერ და სასარგებლო ცხოვრებას. მაგრამ ყოველ პატიოსანს მოღვაწეს ხედება ბრძოლა უკეთურებასთან და ეს უკეთურებაც ებრძვის და ხელს უშლის მას. ასეც შევემთხვა ამ განსვენებულ ჩვენ თანამოძმეს. მისმა ცდამ, რომ თავის მოწაფეებში აღმოეფხვრა ყოველი უკეთური და სარწმუნოების წინააღმდეგი მიმართულება, გააბრაზა ამ სენით გამსჭვალული ზოგიერთი მისი მოწაფეებთაგანი და მათი უკეთური ხელის მწყობელნი და უკეთური ხელი მისი მოწაფედ ნაყოფისა ჰკლავს მას და მასთან სკობს მის ნაყოფიერ მოღვაწეობას. ამ გარემოების სამიშროება მასში მდგომარეობს, რომ მღვდელ-მომქმედს, მამას ჰკლავს ხელი უღირსი შეიღისა, იმ კაცისა, რომელიც ამ მკვლელობის სამი დღის წინად მთხოვდა მე მღვდელობას!

ბი შემთხვევა ჰეშმარიტად სამტირალო და მწარე ცრემლ-საღვრელი. იტირეთ მწარე ცრემლებით ყველა პატიოსანო და კეთილნო კაცნო! იტირეთ თქვენ, გასვენებულის მეუღლავ და მონათესავენო, რომლებმაც დაჰკარგეთ განსვენებულში უძვირფასესი საუნჯე, ღირსი და თავდადებული მფარველი, ხელმძღვანელი და მეგობარი. ჰგოდებდეთ და მწყუნარებდეთ, მაგრამ არა მზგავსად სასო-წარკვეთილთა. ბანსვენებულს უფალი მიანიჭებს მისი შრომისათვის და კეთილი საქმეებისათვის ზეციურ ნეტარებას... ლა თქვენც ლმერთი და მთავრობა არ დაგტოვებსთ შეუწყენელად და უპატრონოდ.

სტიროდეთ თქვენ, მხნენო მოღვაწენო ჩვენი მხარისაე! თქვენის წრიდამ ბოროტის კაცის ხელით

აღმოიფხვრა დიდი ზნეობრივი ძალა... მაგრამ სტიროდეთ სულ-მოკლეობის ტირილით კი არა, არამედ ტირილით, რომელიც განგაანლებსთ თქვენ. მიემზგავსეთ მხნე მხედართა, რომლებშიაც მეგობრის სიკვდილი აორკეცებს სიმამაცეს და ძალას. ახალის ძალით განვლიდეთ ყოველი თქვენგანი მინდობილ სამსახურს და შეეასრულებდეთ თქვენ წინაშე დებულ ღვაწლსა.

ძრისტემ, როცა ის მიჰყავდათ ჯეარზე საცმელად, უთხრა ქალებს, რომლებიც ტირილით მიჰყებოდნენ მას: ასუღნო ეგრესაღამისანო! ნუ ჰსტირით ჰემზედა, არამედ თავთა თქვენთა ჰსტირადეთ და შვილთა თქვენთა. ავაზაკობის მსხვერპლნი კი არ არიან სამწყუნარონი, არამედ ის წრე, რომლიდგანაც გამოდიან ავაზაკნი. იტირონ მამებმა და დედებმა ჩვენი მხრისა, რომ ჩვენ შორის გამოდიან ყმაწვილები მხეცური მიღრეკილებებით, რომლებიც ვერ დაულობილებია კეთილ ოჯახების ზედ მოქმედებას და არც სკოლის კეთილ ზედ გაველენა მოქმედებს მათზე, მაგრამ ამავე დროს მათ იზიდავს ცრუ და მვენებელი მიმართულება. მსტიროდეთ უფრო მის გამო, რომ ზნეობითად დაცემულნი და გაუფუჭებულნი პირნი ხდებიან ლეთის მოსამსახურედ, ჩაიგდებენ რა ხელში ეშმაკობით მღვდლობას. დიდი უბედურებაა ამისთანა პირები მხარისათვის. მრთი ისლა დავგრჩენია სანუგეშოთ, რომ ლმერთი და მტკიცე მთავრობა შეაჩერებენ ბოროტებას.

სტიროდეთ და გეშინოდესთ უფლის დასჯისა თქვენც, რომელნიც თანაუგრძნობთ ავაზაკთ და აქეზებთ მათ... ამისათვის თქვენ ყველაზე უწინ გეწევათ ბოროტება, რომელსაც თქვენ უმზადებთ და აყენებთ სხვას... შუალმა სთქვა: ყოველთა, რომელთა აღაღან მასკილა, მასკილითა წარჰსწყმდენ. რომელნიც სხვას აქეზებენ კაცის მოსაკლავად და მერე ამართლებენ მკვლელთ, თვითონ თავისათვის იმზადებენ მკვლელთ და ამით იმსახურებენ სასჯელს, როგორც ქვეყნიურს, ისე ზეციურს. მეყნიური მართლ-მსაჯულებაც მალე პოებს მათ და სჯის; ხოლო ზეციური მართლ-მსაჯულება ხომ უსათუოდ დასჯის მათ.

სტიროდეთ ყველანი და ევედრეთ უფალს, რომ განსვენებული ჩვენი თანამოძმე იქმნეს უკანასკნელი მსხვერპლი ბოროტი ხელისა, რომ უფალი საუკუნოდ არ გარისხებულიყოს ჩვენზე და მოარბილოს და დაასწოროს ფიცხელი გული კაცთა, რომელთა მიღრეკილება აქვსთ მკვლელობისადმი.

ხოლო განსვენებულ დეკანოზს პავლეს მიანიჭოს უფალმა ლმერთმა ნეტარი საუკუნო ცხოვრება თავის ზეციურ სასუფეველსა შინა.

მოვიდეთ და უკანასკნელი ამბობება მივცეთ განსვენებულს.

სიტყვის წარმოთქმაზე ხშირად მოსდიოდა ცრემლი მწყემსთ-მთავარს და სხვანიც მრავალნი სტიროდენ. ამას წინეთ ერთმა სემინარიიდან გამოირიცხულმა შაგირდმა მიაყენა განსვენებულს უპატიურება მოქმედებით. ეს გამორიცხული შაგირდი სასტიკად, თუმცა სამართლიანად, დასაჯეს. ზანსვენებულმა ამ მოწაფეს თითქმის აპატივა თავის მხრით ეს შეურაცხება. შევლამ იცის, თუ რა მხეცურად მოექცა მკვლელი ლაგიევი განსვენებულს, მაგრამ, როგორც მწყემსთ-მთავრის სიტყვიდამა სჩანს, განსვენებულმა თითქმის აპატივა თავის მხრით მკვლელს ეს დანაშაულობაც. ზანსვენებული იყო შესანიშნავი მორწმუნე კაცი და ამისთვის ყოველ საქმეში სიმართლით ხელმძღვანელობდა. როდესაც მას სიკვდილის დროს ჰკითხეს, თუ ვინ და რა მიზეზისათვის შეამთხვია მას ეს საქმე, განსვენებულმა აღვიარა: "მე მომკლა ლაგიემა პირადი შურისძიებისა გამო" და შემდეგ წყნარად განისვენა მან მსგავსად მრავალთა წამებულთა მოწამეთა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი კეთილ-მომქმედო თანამაო! ლმერთა მოგაგებს შენ შენი სიმართლისათვის მოწამის გვირგვინსა.

სხვა-და-სხვა ამბავი და უანიუნიავი.

ამბობენ, რომ თბილისის ქალაქის სამღვდლოება საქართველოს ექსარხოსად ყოფილის და დღეს მოსკოვის მიტროპოლიტის იოანნიკეს ოცდა ხუთის წლის იუბილეის იდღესასწაულებს 12 ამა ივნისის თვესაო.

ძლიერ სამღურავს იწერებიან ერთ პირზე, რომელიც სოფლებში დადის და ფულებს ბოკავს თმის სასარგებლოდ. ამ პირს უჩივიან, რომ ძალას ატანს მდაბალ ხალხს, ემუქრება, სწყველის, ავინებს, და, თუ ცოტა მისცეს, უკანვე უბრუნებს და დიდ უსიამოვნებას აყენებს ხალხსაო. ამ პირზე წინეთაც

ისმოდა სამღურავი და სწორეთ რიგია ყურადღება მიექცეს მის მოქმედებას და აღეკრძალოს მას სოფლებში სიარული.

სასულიერო სემინარიის გარდაცვალების რექტორის დეკანოზის ჩუდევკის მქერის ათას ორასი მანეთი დაენიშნა პენსია.

ღარწმუნებით ამბობენ, რომ რექტორის მკვლელს ლაგიევს სამხედრო სამართლით გაასამართლებენო.

სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოების შეკრებილება დანიშნულია ამ თთვის ათისათვის ქ. შოთში სასულიერო სასწავლებლის საქმეებისა გამო.

შმაღლესი მთავრობის განკარგულებით სამაზრო კომისიები შეუდგნენ ყველა წოდების ოჯახთა სიების შედგენას. ამ საქმეში დიდი მოვალეობა აქვს დადებული სამღვდლოებს. სიების შედგენის დროს ნამეტნავად წლოვანების ცნობებზე არის ყურადღება მიქცეული, და სამღვდლოებასაერო უწყების და სასულიერო მთავრობათა წინადადებით ვალდებული არის, რომ მიეტრიკილამ ამოწერილი ცნობა წლოვანებაზე სიაში ჩასულთა პირთა თავისი საკუთარის ხელით ჩასწერონ.

ჩვენ აქა-იქ ყური მოვჭკარიო, რომ ზოგიერთი სულ მდაბალი პირები ხალხში ავრცელებენ ხმას, რომ ოჯახილამ ერთი კაცის გარდა ყველას წაიყვანებენ სალდათებათო და ამისთანა ხმებით აწუხებენ მოხუცებულ პირებს და რას არ ფიქრობენ ზოგიერთები. ამ შემთხვევაში მღვდლების მოვალეობაა აუხსნან ხალხს, რომ ჯარში გააწვევენ მარტო ოცდა ერთ წლის ყმაწვილ კაცებს და ვინც ოცდა ერთი წლის მეტი იქნება, იმას არასოდეს არ გაიყვანებენ. ამასთან ოცდა ერთი წლისასაც მამრის სქესის ას სულზე ორ კაცს გაიყვანებენ და არა ყველას. არ გაიყვანებენ აგრეთვე მამის ერთა შვილს. მართი სიტყვით, იმედია, სამღვდლოება ჩააგონებს ხალხს და გააგებინებს ამისთანა ცუდა ხმების უსაფუძვლობას და დაიფარავს მას უბრალო ხარჯისაგან...

შვირილის ხიდი გაფუჭდა ნამეტანად. რამდენიმე ადგილას ფიცრები ჩატყდა. ამ დღეებში ერთ საწ-

ყალ გლესს, რომელსაც ქვა გუნდი მოეტანა და ექვე-
სი მანეთი აელო მოსატანი, ხარა ჩაუარდა უკან გაბ-
რუნების დროს ჩატეხალ ალაგას და მოუყვდა. მართი
სიტყვით ვერ წარმოიდგენს კაცი მეურმეების წვალე-
ბას და ვაჭირებას ამ ხიდზე. ჩვენის აზრით, თუ შემ-
ხელადი არაინა ჰყავს ამ ხიდს, დაკეტონ მაინც და
ხამი კაცი ააცდინონ უბედურებას.

უკანასკნელი დროის ზოგიერთი საყურადღებო

ცელეკრამები.

2 ივნისს.

მიუნხენი. კუშინ სეიწრობის დროს ბერ-
გის ცისე დარბაზის ბაღში ბავარიის კორო-
ლი გადავარდა ტბაში და დაიწყო. კოროლს
თან ახლდა თავისი საკუთარი ექიმი გუდდენი,
რომელიც გადავარდა აგრეთვე კოროლის და-
სახსნელად, მაგრამ თავადაც დაიწყო. როცა
ორთავისი გვაში წელიდამ ამოიღეს, აღმოჩნ-
და, რომ გუდდეს სახე სულ დაკაწრული ჰქონ-
და; ცხადია რომ კოროლს არა ნდომებია გა-
დარჩენა და ებრძოდა ექიმს. სამი მინისტრი
ბავარიისა წავიდა ბერგის ცისე-დარბაზში კო-
როლის სიკვდილის თაობაზედ ოქმის შესად-
გენად. კოროლის გვამს ჩქარა გადმოიტანენ
მიუნხენს. კოროლის შემკვიდრედ აღიარებულ
იქმნა მძა მისი, პრინცი ოტტო 1-ლი; რე-
კენტად დარჩება პრინცი ლუიტპოლდი. ჯა-
რებს ფიცი მიაღებინეს კოროლისა და რეკენ-
ტის ერთგულებაზედ. დღეს გამოაცხადეს ექი-

მების აზრი, ჯერ ისევ 8 ივნისსვე დასკენი-
ლი ექიმების აზრით, მიცვალებული კორო-
ლი ისეთის სიცილით იყო შეჭრობილი, რომ-
ლის მოჩვენაც შეუძლებელი იყო.

განცხადება.

ს ტ ა მ ბ ა

მ. დ. დამბაშიძისა ჭ აზ. ე. ი. სელაძისა.

სტამბა გაიხსნა მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინით
და ყველა მოწყობილობით ქ. შუთაისში
15 მაისს, 1886 წ. ანაჟესკის და ნემეცის
ქუჩაზე, საქლებო გიმნაზიის პირ-და-პირ,
მამაჯანოვის და ამირალოვის სახლებში.

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ საქმეებს
სხვა-და-სხვა ენებზედ. შასი ყველა საბეჭდავზე
ზომიერია. შეკვეთილი საქმეები დაბირებულ
დროზედ ჩაბარდებათ ყველას.

სამღებლოებას ყოველ-გვარი საჭირო
ბლანკების დაბეჭდვა და მოპოება შეუძლია
ზომიერ ფასად. ჭალაქს გარეშე მცხოვრებთა
შეუძლიათ მიმართონ ამ აღრესით: *Въ Ку-
таисъ, въ типографію Гамбашидзе и
Хеладзе ანუ Въ Квирилы, въ редакцію
, Мучемси“ (Пастыр) и Въ Тиф-
лисъ въ типографію Е. И. Хеладзе.
въ собст. домъ.*

შინაარსი: ჩვენი ზარმაც ვაყვანების ჭ
ჭალბატონების საყურადღებოდ. — წერილი სოფლის
მღვდლისა. — წერილი სამეგრელოდამ. — სამსრეთ-ბოღვა-
რეიდამ. — თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის
მოკვლის გამო. — სსკა-და-სსკა ახალი ამბები და შენიშვნე-
ბი. — ტელეგრამები. — განცხადება.

რედაქტორი-გამომცემელი მღვ. დ. დამბაშიძე.

Доз. цензурою Кутаисъ, 9 Июня, 1886 г.

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. დამბაშიძისა ჭ ე. ი. სელაძისა.